

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის  
სხდომის ოქმი №2

ლანჩხუთი

22.03.2019 წელი

12.00 საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე – ვერიკო კვიციანი.

**სხდომას ესწრებოდნენ:** კახა ბოლქვაძე, კახაბერ ასკურავა.

**არ ესწრებოდა:** გოდერძი ქურდიე,

**მოწვეული პირები:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის უფროსი გია ნაჭყებია, მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა, მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის, ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი ელიკო იმნაძე.

სხდომის თავმჯდომარემ, ვერიკო კვიციანი, სხდომა გახსნილად გამოაცხადა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

**დღის წესრიგის პროექტი:**

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

/მომხსენებელი ვ. კვიციანი/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

/მომხსენებელი ვ. კვიციანი/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიაში „შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის გაზრდაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი ვ. კვიციანი/

4. სხვადასხვა საკითხები.

კომისიის თავმჯდომარემ ვერიკო კვიციანი კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

## კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 3

წინააღმდეგი -0

დამტკიცდა დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტი

### დღის წესრიგი

1. „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

/მომხსენებელი ვ. კვიციანი/

2. „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

/მომხსენებელი ვ. კვიციანი/

3. „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მერიაში „შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის გაზრდაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი ვ. კვიციანი/

4. სხვადასხვა საკითხები.

**1.დღის წესრიგის პირველი საკითხი-** ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის ანგარიშში წარმოდგინა, ამავე სამსახურის უფროსმა ბატონმა გია ნაჭყებამ. მან აღნიშნა, რომ წინასწარ დაგეგმილია წლის გეგმა, რომელსაც ამტკიცებს მუნიციპალიტეტის მერი და შემოწმება ძირითადად ფინანსური კუთხით მიმდინარეობს.

მაგალითად, წინა წელს შემოწმდა ა (ა)იპ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი და ა(ა)იპ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანება, სადაც ბევრი ხარვეზი იყო, მაგრამ ტენდენცია არის პრობლემური საკითხების აღმოფხვრისაკენ. მისი განმარტებით, რიგ დარღვევებზე ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ პროკურატურაში გადაგზავნილია დოკუმენტაცია, თუმცა პროკურატურის რეაგირების შესახებ იგი ინფორმაციას არ ფლობს.

კომისიის თავმჯდომარემ ვერიკო კვიციანი დასვა კითხვა, ჩატარდა თუ არა მერიაში სამსახურებრივი გადაცდომის ფაქტებზე მოკვლევა, რაზეც მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის უფროსმა გია ნაჭყებამ უპასუხა, რომ ა(ა)იპ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის სპორტულ ცენტრსა და მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურში იყო მსგავსი ფაქტები, რომელიც იქნა გამოკვლეული და მასზე შესაბამისი რეაგირებაც მოხდა.

დეპუტატმა კახაბერ ასკურავამ აღნიშნა, რომ 2015-2016 წლებში სერიოზული დარღვევები იყო ლანჩუთის მუნიციპალიტეტის გამგეობაში და დაინტერესდა თუ მოხდა შესაბამისი რეაგირება, რაზეც სამსახურის უფროსმა გია ნაჭყებამ უპასუხა, რომ მასალები გადაგზავნილია პროკურატურაში, მაგრამ საკითხთან დაკავშირებით პროკურატურიდან არანაირი პასუხი არ მოსულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის მიერ ცნობად იქნა მიღებული და დადებითად შეფასდა მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის მიერ წარმოდგენილი ანგარიში.

**2.დღის წესრიგის მეორე საკითხი-** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის ანგარიში წარმოადგინა, ამავე სამსახურის უფროსმა შოთა ჩაგუნავამ. მან აღნიშნა, რომ სასამართლოსადმი მიმართვიანობის კუთხით პირველი კვარტალი პასიურობით გამოირჩევა, ძირითადად სასამართლოში საჩივრები არის ქონების ლეგალიზაციის კუთხით.

კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვიციანი დაინტერესდა ჩამოყალიბდა თუ არა სასამართლოს კუთხით ერთიანი პრაქტიკა, რათა არ მოხდეს ერთი და იგივე საკითხებზე მიმართვა, რაზეც სამსახურის უფროსმა შოთა ჩაგუნავამ უპასუხა, რომ იყო კონკრეტული ფაქტები, რაზედაც სასამართლომ პირდაპირი მითითება მისცა ლეგალიზაციის კომისიას, რომ ფაქტობრივი გარემოების მიხედვით ემსჯელათ გარკვეულ საკითხებზე, რაც უფრო გაამარტივებდა შემდგომში ლეგალიზაციის კომისიის მუშაობას და უფრო შედეგიანს გახდიდა მას.

სხდომის თავმჯდომარემ ვერიკო კვიციანი სთხოვა მერიის იურიდიული სამსახურის უფროსს, რომ მათ მიერ მომზადებული ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტების პროექტების სათაურები იყოს მეტად კონკრეტული და ერთგვაროვანი საკითხები ერთ აქტში გაერთიანებული, რაზეც სამსახურის უფროსმა უპასუხა, რომ იგი აღნიშნულ თხოვნას სამომავლოდ გაითვალისწინებდა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის მიერ ცნობად იქნა მიღებული და დადებითად შეფასდა მერიის იურიდიული სამსახურის მიერ წარმოდგენილი ანგარიში.

**3. დღის წესრიგის მესამე საკითხი.** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიაში „შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის გაზრდაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის, ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსმა ელიკო იმნაძემ. მან აღნიშნა, რომ მერია საკრებულოდან ითხოვს თანხმობას ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის გაზრდაზე. საკითხი ეხება ხუთ ვაკანსიას, კერძოდ:

-გენდერის საკითხებში სპეციალისტი.

-კონკრეტულ ადმინისტრაციულ ერთეულებში სამი სპეციალისტი.

-მედიკამენტების კოდიფიცირების პროგრამისათვის სპეციალისტი სამედიცინო კუთხით.

კომისიის თავმჯდომარემ გამოთქვა მოსაზრება, რომ კარგი იქნებოდა ადმინისტრაციული ერთეულისათვის და გენდერის საკითხებში სპეციალისტები ყოფილიყვნენ შტატით განსაზღვრული, ვინაიდან მნიშვნელოვან სამსახურეობრივ ფუნქცია-მოვალეობებზე არის საუბარი, ხოლო რაც შეეხება სამედიცინო კუთხით სპეციალისტს, რომელსაც მერიის სოციალური სამსახური საჭიროებს, მიზანშეწონილია ხელშეკრულებით აყვანა, რადგან აღნიშნული სამუშაო შეიძლება დროებითად ჩაითვალოს. ასევე სხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში აუცილებელია შესაბამისი დასაბუთების შემთხვევაში სპეციალისტების შტატის დამატება, რასაც დაეთანხმნენ კომისიის წევრები კახაბერ ასკურავა და კახა ბოლქვაძე.

დებუტატ კახაბერ ასკურავას თქმით, უკეთესი იქნებოდა ეკანსიები ადგილობრივი პრესის საშუალებით გამოქვეყნებულიყო, ვინაიდან ყველა ინფორმირებული არ არის, რომ აღნიშნული ეკანსიები საჯარო სამსახურის ბიუროს ვებ გვერდზე ცხადდება.

კომისიის წევრების მიერ „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მერიამს შრომით ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის გაზრდაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიზნულ იქნა მომზადებულად უახლოეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 3

წინააღმდეგი - 0

სხვადასხვა საკითხები:

კომისიის წევრის კახაბერ ასკურავამ აღნიშნა, რომ მერს არ წარმოუდგენია წლის ანგარიში საკრებულოსთვის, რომელიც საგადადებულოა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 54 მუხლის 1 პუნქტის „ბ“, „ა“, ქვეპუნქტის შესაბამისად და უნდა მოხდეს მისი წარდგენა წელიწადში ერთხელ მაინც.

ვინაიდან სხვა საკითხები კომისიის წევრების მიერ არ დასმულა, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე:

3-

გერიკო კვიციანი

ღანწხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
ღურიდიულ საკითხთა და ყაიყის კომისია

დასკვნა №2

ღანწხუთი

22.03.2019 წელი

ღანწხუთის მუნიციპალიტეტის მერიის შრომით ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის გაზრდაზე მერიისთვის თანხმობის მიცემის შესახებ ღანწხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

დასკვნა:

კომისიის წევრების მიერ ღანწხუთის მუნიციპალიტეტის მერიის შრომით ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის გაზრდაზე მერიისთვის თანხმობის მიცემის შესახებ ღანწხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიზნულ იქნა მომზადებულად უახლოეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.




კომისიის თავმჯდომარე:



ვერიკო კვიციანი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის  
კომისიის წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

22.03.2019 წელი  
12:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ვერიკო კვიციანი	11:45 ს	
2	კახა ზოლქვაძე	11:55	
3	გოდერძი ქურდიე	11:55	
4	კახაბერ ასკურავა	11:55	